

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
<i>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3 მომზადების საფუძველი	8-9
4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9-14
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	14-15
6 ფულადი სახსრები	15
7 სავაჭრო მოთხოვნები	15
8 მარაგები	15
9 ძირითადი საშუალებები	15
10 სახელფასო დავალიანება	16
11 სავაჭრო და სხვა დავალიანება	16
12 საგადასახადო ვალდებულებები	16
13 ნასესხები სახსრები	16
14 ამონაგები	16
15 რეალიზაციის თვითღირებულება	16
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
17 კომერციული დანახარჯები	17
18 ნეტო კურსთა შორის სხვაობა	17
19 ფინანსური ხარჯი	17
20 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	17

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"-ს მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"-ს (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად "ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობასა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების დადასტურება, რომლებიც ჯგუფს ჰქონდა 2020 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 1,337 (2019: 1,169) ათასი ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების (შენიშვნა ნაგებობების 3,592 ათასი ლარის ღირებულების გარდა) დადასტურება, რომლებიც ჯგუფს ჰქონდა 2020 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 5,594 (2019: 3,738) ათასი ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ცვთის ხარჯთან ან სხვა მუხლთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია (გაგრძელება)

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ები მსს-სთვის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალემა ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მარინა აბულაძე/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-256603

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-A-377251

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დადგენილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მარინა აბულაძე/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

SARAS-F-256603

SARAS-A-377251



შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	6	421	2
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,465	4,338
მარაგები	8	1,337	1,169
სულ მიმდინარე აქტივები		5,223	5,509
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
არამატერიალური აქტივები		15	14
ძირითადი საშუალებები	9	9,186	7,552
სხვა აქტივი		17	16
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,218	7,582
სულ აქტივები		14,441	13,091
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სახელფასო დავალიანება	10	467	460
სავაჭრო და სხვა დავალიანება	11	3,301	3,429
საგადასახადო ვალდებულებები	12	768	527
გადასახდელი პროცენტი		328	199
ნასესხები სახსრები	13	243	1,293
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,107	5,908
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
ნასესხები სახსრები	13	12,336	9,924
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,336	9,924
სულ ვალდებულებები		17,443	15,832
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,201	1,885
გაუნაწილებელი მოგება		(7,203)	(4,626)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,002)	(2,741)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,441	13,091

შმაგი ჭიოკაძე
 დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 11 ნოემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

ციცი ახალაია
 ფინანსური დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	6	421	2
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,465	4,338
მარაგები	8	1,337	1,169
სულ მიმდინარე აქტივები		5,223	5,509
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
არამატერიალური აქტივები		15	14
ძირითადი საშუალებები	9	9,186	7,552
სხვა აქტივი		17	16
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,218	7,582
სულ აქტივები		14,441	13,091
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სახელფასო დავალიანება	10	467	460
სავაჭრო და სხვა დავალიანება	11	3,301	3,429
საგადასახადო ვალდებულებები	12	768	527
გადასახდელი პროცენტი		328	199
ნასესხები სახსრები	13	243	1,293
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,107	5,908
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
ნასესხები სახსრები	13	12,336	9,924
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,336	9,924
სულ ვალდებულებები		17,443	15,832
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,201	1,885
გაუნაწილებელი მოგება		(7,203)	(4,626)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,002)	(2,741)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		14,441	13,091

შმაგი ჭიოკაძე
დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ციცი ახალაია

ფინანსური დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

<u>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება</u>		
	2020	2019
<u>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	11,453	11,992
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,855)	(6,017)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(4,590)	(5,135)
გადახდილი გადასახადები	(1,050)	(1,240)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(8)	(44)
გადახდილი პროცენტები	(867)	(2,008)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(917)	(2,452)
<u>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,131)	(53)
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,131)	(53)
<u>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</u>		
სესხის აღება	10,130	3,871
სესხის გადახდა	(10,027)	(1,638)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2,316	-
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	2,419	2,233
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	371	(272)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	48	144
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2	130
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	421	2

შმაგი ჭიკაძე
 დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ციცი ახალაია
 ფინანსური დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	14	11,625	14,273
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(8,249)	(10,596)
საერთო მოგება		3,376	3,677
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,046)	(3,147)
კომერციული დანახარჯები	17	(352)	(372)
სხვა შემოსავალი		21	(280)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	18	(1,733)	(595)
ფინანსური შემოსავალი		85	28
ფინანსური ხარჯი	19	(928)	(782)
მოგება დაბეგვრამდე		(2,577)	(1,471)
მოგების გადასახადი		-	(5)
წმინდა (ზარალი)/მოგება		(2,577)	(1,476)

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ციცი ახალაია

ფინანსური დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-18	1,885	(3,150)	(1,265)
წლის ზარალი	-	(1,476)	(1,476)
31-დეკ-19	1,885	(4,626)	(2,741)
კაპიტალის ზრდა	2,316	-	2,316
წლის ზარალი	-	(2,577)	(2,577)
31-დეკ-20	4,201	(7,203)	(3,002)

შმაგი ჭიოკაძე
 დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 11 ნოემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

ციცი ახალაია
 ფინანსური დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-18	1,885	(3,150)	(1,265)
წლის ზარალი	-	(1,476)	(1,476)
31-დეკ-19	1,885	(4,626)	(2,741)
კაპიტალის ზრდა	2,316	-	2,316
წლის ზარალი	-	(2,577)	(2,577)
31-დეკ-20	4,201	(7,203)	(3,002)

შმაგი ჭიოვაძე
 დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ციცი ახალაია
 ფინანსური დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	11,453	11,992
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5,855)	(6,017)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(4,590)	(5,135)
გადახდილი გადასახადები	(1,050)	(1,240)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(8)	(44)
გადახდილი პროცენტები	(867)	(2,008)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(917)	(2,452)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,131)	(53)
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,131)	(53)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	10,130	3,871
სესხის გადახდა	(10,027)	(1,638)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2,316	-
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	2,419	2,233
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	371	(272)
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	48	144
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2	130
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	421	2

შმაგი ჭიოკაძე

დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

11 ნოემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ციცი ახალაია

ფინანსური დირექტორი

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	14	11,625	14,273
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(8,249)	(10,596)
საერთო მოგება		3,376	3,677
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,046)	(3,147)
კომერციული დანახარჯები	17	(352)	(372)
სხვა შემოსავალი		21	(280)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	18	(1,733)	(595)
ფინანსური შემოსავალი		85	28
ფინანსური ხარჯი	19	(928)	(782)
მოგება დაბეგვრამდე		(2,577)	(1,471)
მოგების გადასახადი		-	(5)
წმინდა (ზარალი)/მოგება		(2,577)	(1,476)

შმაგი ჭიოკაძე
 დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
 11 ნოემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

ციცი ახალაია
 ფინანსური დირექტორი
 შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
 კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ (შემდგომში – ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფი დარეგისტრირებულია 2010 წლის 03 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205250618, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ.13.

ჯგუფის მფლობელების წილობრივი მარჟინებლები	28-სექ-20	31-დეკ-19
თამარ ემუხვარი, 01024009018	43.9%	39.2%
რონ კარმელი, 505000594, აშშ	29.6%	27.0%
ნოდარ ემუხვარი, 01024086119	დექ	13.2%
ნინო ემუხვარი, 01024025076	10.0%	11.0%
ლეკან ქარაზანიშვილი, საქართველო, 01005006788 /იტალია/	+	5.2%
რუსუდან ნაფეტვარიძე, 01017009772	4.4%	4.4%
	88%	100%

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ჯგუფის დირექტორი - შმაგი ჭიოკაძე.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევა. ძირითადი პროფილია კარდიოლოგია და კადიოქირურგია, თუმცა კლინიკა ფართოვდება და ამატებს ახალ განყოფილებებს ისეთები როგორიცაა ზოგადი ქირურგია, სისხლმარღვთა ქირურგია,

ჯგუფი არის მშობელი ჯგუფი (100%-იანი წილის მფლობელი) საქართველოში დაარსებული ჯგუფის - შპს „გია ჭკუასელის კლინიკა“ ს/კ 401945507, რეგისტრირებული 2010 წლის 24 მარტს. ჯგუფის შვილობილი შეზღუდული პასუხისმგებლობის ჯგუფია და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში.

ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურულად არ არის დაკავშირებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას.

შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლო წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შემენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შემენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რაც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ('სებ'-ის) მიერ დადგენილი კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ოპერაციების ანგარიშსწორებებთან და ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტის კონვერტაციასთან წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსების მიხედვით, აღიარდება მოგება- ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარს და 1 ევრო = 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს).

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო ამერიკული დოლარი ('\$') 1 = 3.1097 და ევრო 1 = 3.5519 ლარს (2019: 1 აშშ დოლარი 2.7722 1 ევრო- = 3.1398). ამავდროულად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლიადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფს არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარჩებებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა ნაგებობა	5%
მანქანა დანადგარები	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%-50%

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2017 წლის 1 იანვრამდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიდინარე გადასახადისგან და გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. პირობითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განაზოცილოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარე ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ჯგუფი საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიკური პროცენტებისადმი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

6 ფულადი სახსრები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	214	2
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	204	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3	-
სულ ფულადი სახსრები	421	2

7 სავაჭრო მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	3,278	3,855
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(199)	(199)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	3,079	3,656
გადახდილი ავანსები	339	621
სხვა მოთხოვნები	47	61
სულ სავაჭრო მოთხოვნები	3,465	4,338

8 მარაგები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ნედლეული	1,310	1,144
საწვავ-საცხები მასალები	2	-
საქონელი	25	25
სულ მარაგები	1,337	1,169

2020 და 2019 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად 3.393 ათასი ლარი და 4,987 ათასი ლარი.

9 ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
31-დეკ-18	1,660	4,789	4,521	213	298	11,481
შეძენა	12	-	1,046	3	30	1,091
ჩამოწერა	-	-	(509)	-	(4)	(513)
31-დეკ-19	1,672	4,789	5,058	216	324	12,059
შეძენა	1,442	17	1,283	49	720	3,511
ჩამოწერა	-	-	(149)	-	(675)	(824)
31-დეკ-20	3,114	4,806	6,192	265	369	14,746
აკუმულირებული ცვეთა						
31-დეკ-18	-	735	2,626	121	222	3,704
პერიოდის ცვეთ	-	240	469	33	61	803
31-დეკ-19	-	975	3,095	154	283	4,507
პერიოდის ცვეთ	-	239	761	18	35	1,053
31-დეკ-20	-	1,214	3,856	172	318	5,560
ნარჩენი ღირებულება						
31-დეკ-18	1,660	4,054	1,895	92	76	7,777
31-დეკ-19	1,672	3,814	1,963	62	41	7,552
31-დეკ-20	3,114	3,592	2,336	93	51	9,186

მიმდინარე მშენებლობაში შედის შვილობილი ჯგუფის კლინიკის მოწყობა, რემონტი. დასრულებისას, აქტივები გადავა შენობა-ნაგებობებში.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები დაგირავდა, როგორც ნასესხები სახსრების უზრუნველყოფა (იხ. შენ. 13).

შპს "ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

10	სახელფასო დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
	სახელფასო ვალდებულებები	467	460
	სულ სახელფასო დავალიანება	467	460
11	სავაჭრო და სხვა დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
	სავაჭრო ვალდებულებები	3,240	3,369
	მიღებული ავანსები	32	28
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	29	32
	სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება	3,301	3,429
12	საგადასახადო ვალდებულებები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	415	409
	გადასახდელი მოგების გადასახადი	5	5
	საგადასახადო ვალდებულებები	348	113
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	768	527
13	ნასესხები სახსრები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	მიმდინარე სესხი ლარში	243	719
	მიმდინარე სესხი დოლარში	-	574
	გრძელვადიანი სესხი დოლარში	11,604	7,997
	გრძელვადიანი სესხი ევროში	732	1,298
	გრძელვადიანი სესხი ლარში	-	629
	სულ ნასესხები სახსრები	12,579	11,217
სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხ. შენ. 9).			
14	ამონაგები	2020	2019
	შემოსავალი სტაციონარიდან	9,982	12,246
	შემოსავალი ამბოლათორიიდან	1,326	1,509
	სხვა შემოსავალი	317	518
	სულ ამონაგები	11,625	14,273
15	რეალიზაციის თვითღირებულება	2020	2019
	ხელფასის ღირებულება	4,809	5,546
	მასალების ღირებულება	3,393	4,987
	სხვა ხარჯების ღირებულება	47	63
	სულ რეალიზაციის თვითღირებულება	8,249	10,596
16	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
	ცვეთა და ამორტიზაცია	1,053	803
	შრომის ანაზღაურება	1,022	1,145
	კომუნალური ხარჯი	262	271
	საიჯარო ქირა	247	153
	ექსპლუატაციის ხარჯი	69	120
	სამეურნეო ხარჯი	67	65
	საკონსულტაციო ხარჯები	49	62
	ბანკის ხარჯი	49	48
	საკანცელარიო ხარჯი	51	45
	ქონების დაზღვევა	33	44
	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	12	16
	მივლინების ხარჯი	-	9
	დაცვის მომსახურების ხარჯი	8	8
	კომუნიკაციის ხარჯები	8	7
	სხვა ხარჯი	116	351
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,046	3,147

17	კომერციული დანახარჯები	2020	2019
	მიწოდების სხვა ხარჯები	334	354
	რეკლამის ხარჯები	16	18
	პერსონალის გადამზადების ხარჯი	2	-
	სულ კომერციული დანახარჯები	352	372

18	ნეტო კურსთა შორის სხვაობა	2020	2019
	უარყოფითი საკურსო სხვაობა	2,099	683
	დადებითი საკურსო სხვაობა	(366)	(88)
	სულ ნეტო კურსთა შორის სხვაობა	1,733	595

19 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება საპროცენტო ხარჯისგან 928 ათასი ლარი 2020 წელს, 782 ათასი ლარი 2019 წელს.

20 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაკავშირებული მხარის დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
	ნასესხები სახსრები	201	288
	მენეჯმენტის ანაზღაურება	2020	2019
	ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	97	28

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. ვინაიდან ეს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისას ჯერ ისევ განვითარების ეტაპზე მყოფი გარემოებაა, მას ჯგუფის ამონაგებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან. საგანგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. ჯგუფს შიგნით სამუშაოები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომები და რეკომენდაციები. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

ჯგუფში 2021 წელს მოხდა კაპიტალის ზრდა 556 ათასი ლარით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ისრაელ-საქართველო სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“

1. კომპანიის დაარსების ისტორია

შპს „ისრაელ-საქართველო სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ წარმოადგენს ისრაელისა და საქართველოს ერთობლივ პროექტს. კლინიკა 2014 წლის დეკემბრიდან წარმატებულად ფუნქციონირებს ქართულ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, აღჭურვილია უახლესი, მაღალტექნოლოგიური, ევროპული სტანდარტების შესაბამისი აპარტურით და დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალით.

ჰელსიკორის ბაზაზე წარმოებს როგორც რუტინული კარდიოვასკულარული, ისე ურთულესი ჰიბრიდული (ქირურგიული-ინტერვენციული) დახურული და ღია ტიპის ოპერაციები. გულ-სისხლძარღვოვანი პათოლოგიების მქონე პაციენტებს ჰელსიკორში შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური სერვისი, სრულფასოვანი ამბულატორიული გამოკვლევებიდან ურთულესი ქირურგიული ოპერაციების ჩათვლით.

ჰელსიკორს საკმაოდ მყარი პოზიციები უკავია გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების მკურნალობის საქმეში, ამ მიმართულებით არის არაერთი სამედიცინო ნოვაციის ავტორი, დანერგილი აქვს ინტერვენციული და ქირურგიული ჩარევების უნიკალური მეთოდები.

პირველად საქართველოში სწორედ ჰელსიკორში ჩატარდა აორტალური სარქველის სტენოზის აღდგენითი ოპერაცია Transcatheter Aortic Valve Implantation (TAVI), რაც გულისხმობს აორტალური სარქველის პროთეზირებას ენდოვასკულარული მეთოდით, უსისხლოდ და ანესთეზიის გარეშე. სტაციონარში დაყოვნება არ აღემატება 2-3 დღეს. იმის გამო, რომ აღნიშნული პროცედურა ნოვაცია იყო საქართველოსთვის, მისი ჩატარება დამოუკიდებლად, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე არ იყო რეკომენდირებული. 2019 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჩატარებულია 14 TAVI-ს პროცედურა, რაც საშუალებას იძლევა მომავალში აღნიშნული პროცედურები ჩატარდეს კლინიკის რესურსებით. ხსენებული პროცედურა არის უკანასკნელი მიღწევა ინტერვენციულ კარდიოლოგიაში და ის ფაქტი, რომ მისი ჩატარება ჰელსიკორს დამოუკიდებლად შეუძლია, მიუთითებს იმაზე, რომ კლინიკის ინტერვენციონისტებს გააჩნიათ უმაღლესი ხარისხი.

ფართო მასშტაბის ურთულეს მანიპულაციებს შორის კლინიკაში სრულდება ისეთი უნიკალური ოპერაციები როგორიცაა:

- აორტო-კორონარული შუნტირება, როგორც მინითორაკოტომიული, ასევე მინი სტერნოტომიული მიდგომით;
- აორტალური სარქველის პროთეზირება მინითორაკოტომიული მიდგომით.
- მიტრალური სარქველის გამოცვლა/პლასტიკა ლატერალური მინითორაკოტომიული მიდგომით.

- აორტის სარქველის პლასტიკა.

ჰელსიკორში ხორციელდება ანგიოქირურგიული ენდოვასკულარული ოპერაციები, მათ შორის ოპერაცია გამსკდარ ანევრიზმაზე დახურული წესით.

2017 წლიდან კლინიკაში ტარდება აბლაციის პროცედურები EnSite Precision აპარატურით, ყოველგვარი რენტგენოლოგიური დასხივების გარეშე. პროცედურები ტარდება გულის ელექტროფიზიოლოგიაში და აბლაციაში მიღებული ევროპული აკრედიტაციით.

კლინიკაში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპის ენდოკრინულ ქირურგთა ასოციაციის თავჯდომარე, გერმანიის ქ. ესენის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორი, ენდოკრინული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ჰენინგ დრალე. ოპერაციები ტარდება მის მიერ შემუშავებული მეთოდით, მუდმივი ნეირომონიტორინგით, ხშირ შემთხვევაში თავად პროფესორის მიერ.

2020 წელს ფუნქციონირება დაიწყო ზოგადი ქირურგიის განყოფილებამ, რომელიც ატარებს ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ღვიძლის ატიპური და სოლისებური რეზექცია, ღვიძლის სეგმენტების ამოკვეთა, უროლოგიური და გინეკოლოგიური ჩარევები.

2020 წელს მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო, კლინიკა ჩაერთო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ ჰიბრიდულ პროგრამაში, რაც გულისხმობს დაწესებულების ბაზაზე მკურნალობაზე მყოფი პაციენტების და/ან სამედიცინო პერსონალის COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ადგილზე მართვას და გამოიყო 6 საწოლი.

2021 წლის მარტის თვიდან ფუნქციონირება დაიწყო, განახლებულმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიმღებმა განყოფილებამ, სადაც გათვალისწინებული და დაგეგმილი პროექტი სრულად განხორციელდა: მოეწყო 1 ახალი საოპერაციო ოთახი, ზოგადი (მ.შ. დიდი წილი ნევროლოგიური) რეანიმაციული დარბაზი გაშლილი 11 საწოლზე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) სამსახურის ფუნქციონირება - დაკვირვების დარბაზში 8 საწოლზე, ტრიაჟი - 1 საწოლზე, ასევე მცირე საოპერაციო/სამანიპულაციო ოთახი, პოსტოპერაციული რეანიმაციული დარბაზის განთავსება 2 საწოლზე, 1 ბოქსირებული პალატა.

ასევე გაეშვა, კომპიუტერული ტომოგრაფი და რენტგენი.

2021 წელს ფუნქციონირება დაიწყო შემდეგმა მედიცინის დარგებმა: ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ნევროლოგია-ნეიროქირურგია, მამოლოგია, ონკოლოგია.

კომპანიის დამფუძნებლები არიან როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

ნოდარ ემუხვარი (პ/ნ 01024086119) – 12,1%;

რუსუდან ნაფეტვარიძე (პ/ნ 01017009772)-4,4%;

რონ კარმელი (პ/ნ 50500594, აშშ.)-29,6%.

თამარ ემუხვარი (პ/ნ 01024009018) – 43,9%;

ნინო ემუხვარი (პ/ნ 01024025076) – 10%;

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი შემსყიდველები არიან:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს;
2. კერძო სადაზღვევო კომპანიები;
3. საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი;
4. სხვადასხვა სამთავრობო უწყებები;
5. უცხოური და ადგილობრივი კომპანიები;
6. ფიზიკური პირები.

2. საქმიანობის განვითარების გეგმები

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ განთავსებულია ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის #13-ში არსებული შენობის პირველ, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 სართულებზე (მათ შორის მე-8 სართულს ფლობს სარგებლობის უფლებით). საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გულ-სისხლძარღვოვანი პათოლოგიებით დაავადებული პაციენტების მოვლა-მკურნალობა. სტაციონარი გაშლილია 93 საწოლზე, მოწყობილია 4 საოპერაციო ოთახი (მათ შორის ერთი ჰიბრიდული ტიპის), 2 კათეტერიზაციის ლაბორატორია, 4 სარეანიმაციო დარბაზი, კლინიკაში ფუნქციონირებს გეგმიური ამბულატორია. 2018 წლის იანვრის თვეში ჰელსიკორის მიერ შეძენილ იქნა შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ 100% წილი, რომელიც განთავსებულია იმავე შენობის პირველ სართულსა და სარდაფში. მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საერთო ფართი დაახლოებით 1700 კვ. მეტრია. მოცემულ ეტაპზე, ხსენებულ ფართში დასრულებულია სარემონტო სამუშაოები და ფუნქციონირება დაწყებულია.

ამ ეტაპისათვის იგეგმება, დამატებითი ფართის შეძენა არსებულ შენობაში, რომელშიც განთავსდება თერაპიული საწოლები კონსერვატიული მკურნალობისათვის და დამატებით ახალი მიმართულებების განვითარებისათვის.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

მაკროეკონომიკური პირობები

კომპანიის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნეს-გარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო, რადგანაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების აგრეთვე სამედიცინო აპარატურის შესყიდვა მომწოდებლებს უწევთ დოლარში ან ევროში შესაბამისად როდესაც ხდება ლარის გაუფასურება

დოლარისა და ევროს მიმართ იმატებს ფასები, კლინიკა კი მომსახურებას უწევს პაციენტებს დადგენილი ფასებით.

ამასთან, კომპანიას ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიმართ აქვს საკრედიტო ვალდებულებები, რომლებიც თითქმის სრულად მიზღვრულია უცხოურ ვალუტებზე. ლარის გაუფასურება ამ ვალუტების მიმართ ზრდის კომპანიის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე). აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად აგრეთვე გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა საწარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. აღნიშნული სიახლე უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს საქმიანობაზე რადგან როდესაც პაციენტი ვერ იხდის სამედიცინო მომსახურების თანაგადახდას ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უსასყიდლო მიწოდება და მოგების გადასახადით დაიბეგროს.

კოვიდ პანდემიამ, გავლენა მოახდინა დაგეგმილი სამუშაოების დროულობასა და ბიუჯეტის შესრულებაზე. კონკრეტულად, გაიზარდა უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად გაწეული ხარჯები, რაც დამატებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

4. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

5. საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა;
- კადრების ადმინისტრირება;
- ხელფასები და კომპენსაციები;
- ქცევის კოდექსი;
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება;
- ადამიანური უფლებები.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს-საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე, აგრეთვე მათ მუდმივ პროფესიულ ზრდაზე. ჩვენი ექიმები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში, სადაც ხდება სამედიცინო სფეროში არსებული სიახლეების გაცნობა და გაზიარება.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

დირექტორი:

შმაგი ჭიოკაძე

5. საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა;
- კადრების ადმინისტრირება;
- ხელფასები და კომპენსაციები;
- ქცევის კოდექსი;
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება;
- ადამიანური უფლებები.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს-საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე აგრეთვე მათ მუდმივ პროფესიულ ზრდაზე. ჩვენი ექიმები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში, სადაც ხდება სამედიცინო სფეროში არსებული სიახლეების გაცნობა და გაზიარება.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

დირექტორი:



შმაგი ჭიოკაძე